პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 153 (6208)

1978 წ. 6 აგვისტო, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი რკინიგზელის საკავშირო დღეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეეგება. მოწინავეთა შორის არიან [illegible] სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მესამე საავტო[illegible] ნ. ტუტუნიკოვი, პირველთანრიგოსანი მოჭიდავე მეოთხე საჩამომსხმელო საამქროდან ი. მერაბიშვილი და მეათე მექანიკური საამქროს ხარატი ზ. ფირცხალაიშვილი, რომელიც ქარხნის კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების წევრია.

ს უ რ ა თ ზ ე: (მარცხნიდან) ფირცხალაიშვილი, მერაბიშვილი და ტუტუნიკოვი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## დღეს რკინიგზელის საკავშირო დღესასწაულია

# ასე შევეგებეთ!

●

### გვესაუბრება ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. ქობულაძე

●

**რკინიგზელის** საკავშირო დღეს ტრანსპორტის მშრომელები სახელო მაჩვენებლებით ეგებებიან და ამაში უდავოდ დიდია ფიზკულტურისა და სპორტის როლი. „ლოკომოტივის" ცენტრალური და საგზაო საბჭოები შეუნელებლად ზრუნავენ რკინიგზელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის ამაღლებისთვის, ვინაიდან ყველას კარგად აქვს შეგნებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილების მნიშვნელობა, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მოსახლეობის ფიზიკური წრთობის დონე.

ვალში არც ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურული ორგანიზაცია რჩება. ჩვენი გზის „ჯანმრთელობის საამქროს" წარმომადგენელთა დაუღალავი შრომით ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართებით, განსაკუთრებით — რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ. ყველა ფიზკულტურულ კოლექტივში თვალსაჩინოდ ამაღლდა გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის დონე, მეტი ყურადღება დაეთმო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბაზების მოწყობასა და ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას, სპორტში მშრომელთა ფართო ფენების მიზიდვას...

ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის 169 ფიზკულტურულ კოლექტივში 27 ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული. მათგან მარტო მიმდინარე წელს მშრ კომპლექსის ნორმატივები 3000-ზე მეტმა კაცმა ჩააბარა. განვლილი ექვსი თვის მანძილზე 2000-ზე მეტ რკინიგზელს მიენიჭა მასობრივი თანრიგი, 67-მა კი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ან პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 9 კაცი სპორტის ოსტატი გახდა. საზოგადოების 128 პირველად ორგანიზაციაში დანერგილია საწარმოო ტანვარჯიში და ამ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში 21213 ადამიანი მეცადინეობს.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ზრუნვითა და გზის ხელმძღვანელობის დახმარებით თბილისში და მის ფარგლებს გარეთ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამაჯანსაღებელი ბაზების ქსელის ზრდას: წელს თბილისში, დგებუაძის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა კომპლექსური სპორტული მოედანი, რომელიც ამ მიკრორაიონის მცხოვრებთა გაჯანსაღებას ემსახურება; ნავთლუღის ტრანსპორტის მშენებელთა დასახლებაში ტრესტ „ზაკტრანსტროის" ინიციატივით კარგი კომპლექსური სპორტდარბაზი მოეწყო, შენდება ღია ბაზები; გზის რვა პიონერთა ბანაკში კაპიტალურად შეკეთდა ჯანმრთელობის კერები; წყნეთში „ზაკტრანსტროის" ბანაკში ჩოგბურთის კორტის მშენებლობა დამთავრდა და ახლა კომპლექსურ მოედანს აგებენ...

რკინიგზელ მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში განსაკუთრებით კარგად მუშაობენ სამტრედიის სალოკომოტივო და სავაგონო, ბათუმის, სოხუმის, ხაშურის სავაგონო დეპოების, თბილისის კავშირგაბმულობის დისტანციის, თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო მატარებლის ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც ხშირად ატარებენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს, სამატჩო და ამხანაგურ შეხვედრებს.

სპორტკლუბების, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების კარგი მუშაობით, მწვრთნელების ნაყოფიერი საქმიანობით, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების დახმარებით უკანასკნელ წლებში მეტი წარმატებები მოვიპოვეთ ყველა სფეროში.

ამიერკავკასიის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს საერთო წინსვლა კოლექტივებში იწყება. იქ კი, კოლექტივებში, ათასობით სპორტის მოყვარულია, რომლებიც სწორედ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის წყალობით შრომაშიც სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ თბილისის სავაგონო დეპოს კომუნისტური შრომის დამკვრელები ტ. მაზმიშვილი და თ. ლეკიშვილი, რომლებიც თავიანთი კოლექტივის ღირსებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მუდამ წარმატებით იცავენ; სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, დეპოს ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული თ. რევიშვილი; ქუთაისის სადგურის ვაგონების გამსინჯველი, საქართველოს ნაკრების წევრი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი ა. მშვენიერაძე; ამავე ქალაქის სალოკომოტივო დეპოს კომუნისტური შრომის დამკვრელი ზეინკალი ზ. ჯანჯღავა; ბათუმის სავაგონო დეპოს ზეინკალი, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ზ. კვირიკაძე და სხვები.

ისინი და მრავალი მათი თანამოსაქმე რკინიგზელის დღეს შრომასა და სპორტში მაღალი მაჩვენებლებით შეეგებნენ. დღეს ჩვენი აქტივისტების დახმარებით სპორტკლუბების, ფიზკულტურული კოლექტივების სპეციალური ბრიგადები თავიანთ ბაზებზე საჩვენებელ სააგიტაციო გამოსვლებს გამართავენ, მოეწყობა ლექციები, მოხსენებები ფიზკულტურისა და სპორტის როლზე შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში, გაიმართება ერთდროული თამაშების სეანსები, ტურისტული და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.



## ჩოგბურთი

**რუმინეთის** ქალაქ ბრაშოვში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში სამი საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟი ნახევარფინალში გავიდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც კონტინენტის ჩემპიონატის დებიუტანტმა, ბაქოელმა რ. ახმეროვმა სძლია გამოცდილ რუმინელ სპორტსმენს ვ. მარკუს — 4:6, 6:3, 6:2, მოსკოველმა ვ. ბორისოვმა დაამარცხა ერთ-ერთი უძლიერესი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი პ. სლოჟილი — 2:6, 6:2, 6:4, ხოლო თბილისელმა თეიმურაზ კაკულიამ ჩეხოსლოვაკიელი ი. გრანატსი — 6:3, 6:4. მეოთხე ნახევარფინალისტი გაირკვევა, როცა დამთავრდება ევროპის ჩემპიონის, თბილისელი ა. მეტრეველისა და რუმინელი რ. ხერედაუს შეხვედრა. იგი შეწყდა (სიბნელის გამო) მას შემდეგ, რაც პირველი პარტია მეტრეველმა წააგო 5:7, ხოლო მეორეში ანგარიში იყო 5:5.

მეოთხედფინალურ შეხვედრებში წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ქალები: რიგელმა ი. შევჩენკომ წააგო რუმინეთის ჩემპიონ ვ. რუჟიჩთან — 7:5, 2:6, 7:9, მოსკოველმა ე. გრანატუროვამ მეორე რუმინელ ფ. მიხაისთან — 6:4, 5:7, 2:6, მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ ჩეხოსლოვაკიელ რ. ტომანოვასთან — 7:5, 4:6, 0:6, კიეველმა მ. კროშინამ მეორე ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელ რ. მარშიკოვასთან — 2:6, 3:6. ისინი ცუდად გამოვიდნენ წყვილთა შეხვედრებშიც: კროშინამ და ჩმირიოვამ ნახევარფინალში წააგეს ტომანოვასა და მარშიკოვასთან — 6:3, 4:6, 2:6, ხოლო გრანატუროვამ და შევჩენკომ რუმინელებთან რუჟიჩსა და მიხაისთან — 3:6, 3:6.

ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში მეოთხედფინალში გავიდა ორივე საბჭოთა დუეტი — მეტრეველი — კაკულია და ბორისოვი — ახმეროვი. ჯერჯერობით დაუმარცხებლად გამოდიან შერეული წყვილები: ბორისოვი — შევჩენკო, მეტრეველი — ჩმირიოვა და კაკულია — კროშინა.

იქვე მიმდინარეობს კონტინენტის ახალგაზრდული ჩემპიონატიც. დონეცკელი ელენე ელისეენკო და ლვოველი ს. გრუზმანი ნახევარფინალში გავიდნენ.

## მძლეოსნობა

**იტალიის** ქალაქ ბრეშიაში მძლეოსანთა შეჯიბრებაზე **სარა სიმეონიმ** 201 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია და ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა ოლიმპიური ჩემპიონის როზემარი აკერმანის (გდრ) მსოფლიო მიღწევა. სიმეონი მეორე მძლეოსანია მსოფლიოში, რომელმაც ორმეტრიანი ზღვარი გადალახა.

**მოსკოვში** მიმდინარეობს თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბევრი სახელოვანი სპორტსმენი მონაწილეობს. პირველ სახეობაში — ცხენოსნობაში გაიმარჯვა პოლონელმა მ. ბაიანმა — 1096 ქულა. გუნდური გამარჯვება იზეიმეს ყაზახეთის ხუთჭიდელებმა 3128 ქულა. მეორე სახეობაში — ფარიკაობაში ტოლი არ ჰყავდა კრასნოდარელ ო. ბულგაკოვს 1102 ქულა. გუნდურ

## თანამედროვე ხუთჭიდი

შეჯიბრებაში კი გაიმარჯვეს უნგრელმა ხუთჭიდელებმა — 2830 ქულა. ორი სახეობის შემდეგ დაწინაურდა ო. ბულგაკოვი (რსფსრ-I) — 2140 ქულა, გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ უნგრელი სპორტსმენები — 5832 ქულა.

## შაში

**კიევში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება საერთაშორისო და რუსულ შაშში. გაიმარჯვა მოსკოვის კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. მიხაილოვსკაია, ვ. შჩეგოლევი, ოსტატები ე. ძუკლეევი, ა. კანდაუროვი, ვ. საფრონოვი, ა. ჩულკოვი, ი. ერმაკოვი, რ. გაგარინა, ოსტატობის კანდიდატები ე. ჩიტაიკინა და ი. მაგიდი. გამარჯვებულებს 55,5 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან უკრაინა და ბელორუსია — 54-54 ქულა.

პირად პირველობაში საერთაშორისო შაშში ვაჟთა შორის გაიმარჯვა დიდოსტატმა ა. მოგილიანსკიმ (ლატვია) — 7 ქულა 9-დან, ქალთა შორის — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა ლ. ტრაკინამ (ლიტვა) — 7 ქულა. რუსულ შაშში ქალთა შორის გაიმარჯვა ე. სორკინამ (ბელორუსია), ხოლო ვაჟთა შორის კიეველმა ოსტატმა მ. რახუნოვმა.

**ტაშკენტში** მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. სამი ტურის შემდეგ დაწინაურდა ვილნიუსელი ნ. მარკიავიჩენე — 3 ქულა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ლენინგრადელი გ. კუზნეცოვა.

## ცურვა

**ამერიკელ** მოცურავე ქალთა მიერ ტეხასის შტატის ქალაქ ვუდლენსში დამყარებულ მსოფლიო რეკორდებზე ჩვენს გაზეთში უკვე ვწერდით. დავუმატებთ, რომ სამი ეროვნული რეკორდი დაამყარეს: იმავე ტ. კოლკინსმა, ოღონდ ამჯერად 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1.10,97, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ს. ვუდხედმა აჩვენა 1.59,49, ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ჯ. პენინგტონმა — 1.00,58.

## დღეს რკინიგზელის საკავშირო დღესასწაულია

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს სპორტულ სექციებში 250 კაცია გაერთიანებული. აქ ნაყოფიერად მუშაობს ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა ჯგუფები, რომლებსაც აქტივისტები ხელმძღვანელობენ.



სურათზე: დეპოს მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრების ერთი მომენტი. ტურნირი რკინიგზელის საკავშირო დღეს მიეძღვნა. შესვენების დროს ასეთი შეხვედრები აქ ლია ცის ქვეშ ხშირად ეწყობა.

გ. ქიმერიძის ფოტო.

ისინი გამოვლენ ტაშკენტში

ნიჩბოსნობა

# ნავები, ნავები...

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადის სტარტებამდე თვეზე ცოტა მეტი დრო დარჩა. ჩვენს რესპუბლიკაში მისთვის მზადება ცალკეულ სახეობებში დროულად დაიწყო და მნიშვნელოვანი სამუშაოებიც ჩატარდა. ამის შესახებ „ლელო“ უკვე იტყობინებოდა. იმასაც ვწერდით, რომ საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა სწორედ დიდი სტარტებისთვის გაწეული მუშაობის შემოწმების ნიშნით გაიმართა და დაისახა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გზები. ბევრ სახეობაში ასეთ ღონისძიებებს სათანადო შედეგი მოჰყვა, ბადმინტონის, ოლიმპიური და კანოეებით ნიჩბოსნობაზე კი ამას ვერ ვიტყვით — ნაკრებს, რომელიც აგერ უკვე მერამდენე თვეა არსებობს, სახარბიელო მდგომარეობა როდი აქვს.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები რესპუბლიკურ სპარტაკიადამდე ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად გალში შეიკრიბა. აქ, საქართველოს სპორტკომიტეტის ზრუნვით, სსრ კავშირის ნიჩბოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ა. სლესარევის, გალის ბაზის დირექციის დახმარებით მოსწავლეებს ვარჯიშებისთვის თითქმის ყველა საჭირო პირობა შეუქმნეს: მათ განკარგულებაში იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრების ნავების საჭირო რაოდენობა.

მართალია, გალში ჩატარებული შეკრების ორგანიზაციას სერიოზული ხარვეზებიც ახლდა (კარგახანს გალიდან საწვრთნელ ბაზამდე ბავშვების გადასაყვანი ტრანსპორტი არ იყო, ამიტომაც მოსწავლე სპორტსმენები 8 კილომეტრს ყოველდღე ფეხით ან ტაქსით დადიოდნენ), მაგრამ აქ გატარებული დრო მაინც ნაყოფიერი გამოდგა.

და აი, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაც დაიწყო, ნაკრების წევრები თავიანთი ქალაქების, რაიონების გუნდებს დაუბრუნდნენ და ნიჩბოსნები საბოლოოდ ფოთში შეგროვდნენ. სამწუხაროდ, თბილისის კოლექტივი ასპარეზობაზე ინვენტარის გარეშე აღმოჩნდა, რამდენიმე ნათხოვარი ნავით ფონს გასვლა კი, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხა.

სასპარტაკიადო შეჯიბრებამ, რის ვაივაგლახით ჩაიარა. ისევ შეირჩნენ უძლიერესნი, ისევ შედგა ნაკრები, რომელმაც გეზი ბაზალეთისკენ აიღო. აქ, დუშეთის რაიონის ამ ლამაზ ტბაზე, უნდა გაგრძელებულიყო საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება...

რედაქციაში რამდენჯერმე მოვიდა სიგნალი მოსწავლე-ნიჩბოსანთა საქმიანობაში ბევრი ნაკლიაო. გაირკვა: ნაკრების ხელმძღვანელობამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ, რომელსაც სპარტაკიადისთვის გუნდების მზადებაზე პასუხისმგებლობა აკისრია, ვერ შეძლეს ბაზალეთზე წვრთნისთვის საჭირო ყველა პირობის შექმნა. თავი დავანებოთ, იმას, რომ ოთხ მწვრთნელს (ვ. მარეხაშვილი, ჯ. ხოშბაევი, თ. ლაგვილავა, გ. მარრაძე) ვარჯიშების ნორმალური კონტროლისთვის ოთხი ძრავიანი ნავი უნდა დახვედროდა, სინამდვილეში ადგილზე ერთი უხეირო, გაუმართავი ნავი აღმოჩნდა, 20 სპორტსმენისთვის კი მხოლოდ სამიოდე ერთადგილიანი ბაიდარი ამოიტანეს (?!)...

ცხადია, ასეთ პირობებში ყოველდღიურად სამჯერადი წვრთნის ნორმალურად ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. თითოეულ სპორტსმენს ტექნიკის დახვეწის თუნდაც სულ უმნიშვნელო საშუალება რომ მისცემოდა, რიგი დააწესეს, მწვრთნელები ალსაზრდელების სამეთვალყურეოდ ტბაზე წყლის ველოსიპედებით (?!) გადიოდნენ, უმეტესად კი ნაპირიდან აძლევდნენ მითითებებს.

— გუნდში ხუთი სოხუმელი სპორტსმენია, ამდენივე თბილისელი, ოთხ-ოთხი ფოთიდან და ბათუმიდან ავიყვანეთ, რვაც — მცხეთიდან... — გვიყვება ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. მარეხაშვილი, — მაგრამ თავიანთი სპორტსმენები ინვენტარით, ასე თუ ისე, მხოლოდ სოხუმმა უზრუნველყო, მცხეთელების 4 ნავი უვარგისია...

ინვენტარი მთავარია, მაგრამ წვრთნის ნორმალურად წარმართვისთვის ასევე მთავარია გუნდის ექიმის ადგილზე ყოფნა, აქ კი ორი თვეა თვალითაც არ უნახავთ ექიმი, რომელიც მოზარდთა ყოველკვირეულ ფუნქციონალურ ცვლილებებზე კონტროლს დააწესებდა, ყურადღებას მიაქცევდა დატვირთვით გამოწვეულ შედეგებს, ბავშვების ჰიგიენაზე, კვების რეჟიმსა და რაციონზე, ვიტამინიზაციაზე იზრუნებდა, ბაზალეთში კი კვების დონე აშკარად არ შეესაბამებოდა იმ დონეს, რომელსაც ნიჩბოსანთა დღის რეჟიმი მოითხოვს — კერძები ერთფეროვანი და ნაკლებკალორიული იყო, მწვანილი და რძის ნაწარმი სპორტსმენებს გემოთიც არ უნახავთ, არაჟანი მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ...

მწვრთნელებთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ მზადების ხელშემშლელი სხვაც ბევრი რამ იყო — საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში ორ და ოთხადგილიანებით შეჯიბრებაც შედის. ნავების უქონლობის გამო ჩვენი ნაკრების წევრები ამგვარ ნავებში ერთად ჯერ არ მსხდარან, მაშ როდისღა უნდა გამოიმუშაონ სინქრონიზმი?

გუნდში ოთხი თუ ხუთი სპორტის ოსტატობის კანდიდატია, სჭარბობენ პირველთანრიგოსნები, მაგრამ მარტო სპორტსმენთა მაღალი კვალიფიკაცია როდი კმარა, არც მათ ერთად თავშეყრას აქვს დიდი მნიშვნელობა თუ კი ინტენსიურად, ერთიანი გეგმით ტექნიკის სრულყოფაზეც არ ივარჯიშებენ, შეჯიბრებებს, სამატჩო შეხვედრებს არ გამართავენ. ფოთის სტარტების მერე კი ნაკრების წევრებს შეჯიბრებათა „გემოც“ დაავიწყდათ.

— არც ხელოსანი გვყავს, არც სათადარიგო ნაწილები და წებო გაგვაჩნია, რომ ნავები დაზიანების შემთხვევაში შევაკეთოთ და საქმეს არ მოვცდეთ, — ჩივიან მწვრთნელები.

ბაზალეთზე შეკრება დასრულდა. მწვრთნელები შედეგებით უკმაყოფილონი არიან. ამას არც მალავენ და ახლა იმაზე სწუხან, თუ როგორ იქნება საქმე მორიგ თავშეყრაზე, რომელიც სიონის წყალსაცავზეა დაგეგმილი.

თუ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა ნიჩბოსნებისთვის წვრთნის პირობების შექმნაზე ძღევანდელივით „იზრუნებს“, ბევრის იმედი არ უნდა გვქონდეს, საქმეს კი სასიკეთო პირი რომ არ უჩანს, აქედანაც ჩანს: სიონს ნაკრები პირველ აგვისტოდან უნდა სწვეოდა, მაგრამ დღემდე არ ასულან (?!).

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტში გვითხრეს, გუნდის ნავებით უზრუნველყოფის საკითხი მოგვარებულია.

ნაკრების ხელმძღვანელობამ, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა მოსწავლე-სპორტსმენებმა დარჩენილი თვენახევარი მაინც გამოიყენონ სპარტაკიადისთვის მზადების საქმეში.

ო. გელაშვილი.

„ზაფხული-78“

## მასპინძლობს მიუსერა

**შ. რუსთაველის** სახელობის მიუსერის პიონერთა ბანაკში ნაყოფიერად ატარებენ ზაფხულის არდადეგებს ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა შვილები. ამ დღეებში აქ გაიმართა სპარტაკიადა. ნორჩები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და მძლეოსნობაში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მოსწავლეები ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ხშირი სტუმრები არიან — სოფლის მეურნეობის მშრომელებს მოსავლის აღებაში ეხმარებიან.

* * *

**სურათებზე, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, საბანაკო ცხოვრების მომენტებია აღბეჭდილი.**

შ. ზაქარეიშვილის ფოტოები.







წერილის კვალდაკვალ

## „მოგვერიდესა — მოედანი“

**ამ სათაურით** „ლელოს“ 2 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თეთრი წყაროს რაიონის სპორტული ცხოვრების ავკარგზე, იმაზე, რომ თეთრწყაროელებს ნაკლებად აქვთ სპორტული ბაზები, რაიონში ყურადღება არ ექცევა სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებას. მეათე წელია ჭიანურდება თეთრი წყაროს სტადიონის მშენებლობა...

სახალხო დეპუტატთა თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. დალაქიშვილი გვატყობინებს, რომ წერილი სინამდვილეს შეეფერება** — რაიონი ჯერ კიდევ განიცდის სპორტული ბაზების უქმარისობას, ყველა სოფელში არ არის მოწყობილი ღია საჭიდაო სარბიელი, სათანადო დონეზე არ დგას ქართული ჭიდაობის განვითარება. მიმდინარე წლის 18 ივლისის სხდომაზე რაისაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, სადაც აღინიშნა, რომ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ნაკლებად ზრუნავენ ახალი სპორტული ბაზების შექმნაზე და ცუდად ეხმარებიან რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებს. რაისაბჭოს აღმასკომმა შეიმუშავა და დაამტკიცა „რაიონში ადგილობრივი სახსრებით სპორტული ბაზების განვითარების 1978-1980 წლების გეგმა“, რომლითაც გათვალისწინებულია შეკეთდეს და მოეწყოს სპორტული ბაზები: თეთრ წყაროში, გარისის, ირაგის, ჯორჯიაშვილის, ბორბალოს, მანგლისის, ორბეთისა და ასურეთის საბჭოთა მეურნეობებში, კოდის მეფრინველეობის ფაბრიკაში.

რაისაბჭოს აღმასკომმა დაავალა 55-ე მოძრავ-მექანიზებულ კოლონას პირველ სექტემბრამდე დაამთავროს თეთრი წყაროს ახალი სტადიონის მშენებლობა.

რაიონის სპორტკომიტეტს დაევალა მეტი ყურადღება დაუთმოს სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებას. გადაწყდა, ყოველ სოფელში მოეწყოს საჭიდაოები და რეგულარულად გაიმართოს შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში.

საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაევალა მკაცრად იხელმძღვანელონ რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით და უზრუნველყონ სპორტული ბაზების მშენებლობისა და შეკეთების გეგმების შესრულება აღნიშნულ ვადებში.

სტრიქონები

## ახალგაზრდების თაოსნობით

ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ტერიტორიაზე მწყობრში ჩადგა ფეხბურთის ახალი მინდორი, რომელიც იქაური კომკავშირელებისა და ფიზკულტურელების თაოსნობით მოეწყო.

## სარაიონო თასზე

**ფეხბურთელთა** 17 გუნდი მონაწილეობდა თასის სარაიონო გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობისა და ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის გუნდები.

მუხურელმა ფეხბურთელებმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახარია, ინსტრუქტორ-მეთოდისტი დ. თოლორდავა) გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2 და დაეუფლნენ თასს.

ლ. ქურაშვილი.

## კრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ!

# „შე-ტე-ვა, „დი-ნა-მო!“

### სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

ფეხბურთის გულშემატკივრები, ჩვენი გაზეთის მკითხველები კვლავ ხშირად გვიგზავნიან წერილებს „დინამოს“ სტადიონზე მაყურებელთა მიერ წესრიგის დაცვის თაობაზე, დინამოელთა თამაშის დროს ზოგიერთი მხარდამჭერის გამოხატვის საშუალებათა შესახებ. ნიშანდობლივია, რომ უკლებლივ ყველა ავტორი გულისტკივილით, ხშირად კი რისხვით იხსენიებს იმ ვაიგულშემატკივართა გამოხდომებს, რომელთა „მორჭულებას“ არა და არ ეშველება საშველი. (გავიხსენოთ ჩვენს სტადიონზე ჩატარებული ბოლო მატჩი, როდესაც მოედნიდან კვლავ ისროლეს რაღაც საგანი).

ასეთი მოხულიგნო ბიჭ-ბუჭების წინააღმდეგ მკითხველები გვთავაზობენ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ყურადღება, ფართოდ ჩავრთოთ მთელი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით კომკავშირული აქტივი. მაგალითად, გადამდგარი პოლკოვნიკი ბ. საანიშვილი გვთავაზობს: „შემომაქვს წინადადება, ფეხბურთის მატჩის დროს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოჰყონ რაზმელები, ხოლო სტადიონის დირექციამ დაანაწილოს ისინი სექტორების მიხედვით. რაზმელებმა უნდა გამოავლინონ წესრიგის დამრღვევნი და ისინი მორიგე მილიციელებს გადასცენ. წესრიგის დამრღვევთა ვინაობა უნდა გამოცხადდეს იქვე, რადიოთი, იმავე დღეს, ან მორიგი მატჩის ჩატარების წინ“.

რიგი მკითხველებისა სტადიონზე წესრიგის დამყარების და ვაიგულშემატკივართა საბოლოოდ აღაგმვის პრობლემის გარდა ყურადღებას ამახვილებენ ჩვენს სტადიონზე გულშემატკივართა ემოციების გამოხატვის ფორმებზე, კიდევ ერთხელ აყენებენ საკითხს მცირე ზომის ალმების, სამკერდე ნიშნებისა და სპეციალური საზაფხულო ქუდების გამოშვების შესახებ. ამის თაობაზე რედაქციას მომართავენ თბილისელები **გ. ანთაძე** და **ზ. გვახარია.** აღნიშნული ავტორები აყენებენ საკითხს, რომ პრესის საშუალებით გულშემატკივრებს მივაწოდოთ ერთგვარი მქახილი, რომელსაც აიტაცებდა მთელი ტრიბუნა (ვთქვათ, „წინ, წინ, „დინამო!“, ან „გოლი, გოლი, დინამო!“ ან „შე-ტე-ვა, „დი-ნა-მო!“). — კარგი იქნება, თუ გამოცხადდება კონკურსი სპეციალურ საფეხბურთო სიმღერაზე, რომელიც უეჭველად გაამხნევებდა ჩვენს ბიჭებს მომავალ მძიმე მატჩებში — გვწერენ ისინი. კორესპონდენტთა ერთი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ, სამწუხაროდ, გულშემატკივართა ნაწილი „მზადაა სტვენა აუტეხოს საკუთარ გუნდს თუ მას თამაში არ გამოუდის“. მათი აზრით, „საჭიროა გუნდს მხარი დავუჭიროთ სწორედ მაშინ, როდესაც უჭირს და არა პირიქით“.

სოხუმელი **გ. მებონია** მოაგონებს გულშემატკივრებს, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენს სტადიონზე წესრიგის დარღვევის თუნდაც კიდევ ერთ ფაქტს.

— „მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მატჩის დროს გულშემატკივართა ჯგუფის ავმა გამოხდომამ, ცუდი შედეგი გამოიღო, — გვწერს ავტორი, — მსგავსი დარღვევის განმეორების შემთხვევაში მატჩებს სხვა ქალაქებში ჩაატარებენ. ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია რასაც ნიშნავს ეს, უპირველესად ჩვენი გუნდისთვის. თუკი არ მოგვწონს მსაჯის გადაწყვეტილება და ვფიქრობთ, რომ ის არასწორია, უნდა მოვითმინოთ, თუ გვიყვარს ჩვენი გუნდი, თუ ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის კეთილი სახელი“...

„— 7 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მორიგი მატჩი. ვფიქრობთ, თბილისელი მაყურებლები გულთბილად შეხვდებიან საყვარელი გუნდის გამოჩენას მწვანე მინდორზე, მათ ხომ უმძიმესი მატჩი დათმეს არა რიგით გუნდთან, არამედ თვით ჩემპიონთან და ისიც, მინიმალური სხვაობით — გვწერენ ქუთაისელი გულშემატკივრები **გ. მამალაძე** და **ი. გოგიბერიძე**. — მტკიცედ გვწამს, რომ ფეხბურთის ნამდვილი ქომაგნი ამ დღეს და სხვა მატჩების დროსაც გამოავლენენ თავიანთ ობიექტურობას, ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცებენ, რომ მათ უყვართ თავიანთი გუნდი, ნამდვილი ფეხბურთი...“

## ნაგოიას გეგმები

**ტოკიო.** ცენტრალური იაპონიის ქალაქი ნაგოია ფიქრობს დაასახელოს თავისი კანდიდატურა 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად.

ნაგოია ამ კამპანიას ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში შეუდგა, მაგრამ ოფიციალური საორგანიზაციო კომიტეტი მხოლოდ ახლა შეიქმნა და ოლიმპიური გეგმის შედგენაც დაიწყო.

ოლიმპიური თამაშები უკვე ჩატარდა იაპონიაში: 1964 წელს — ტოკიოში და 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადა — საპოროში.

როგორც ფრანს-პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ნაგოიას ალბათ გამოუჩნდება კონკურენტები, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 1981 წელს ბადენ-ბადენში (გფრ) გადაწყვეტს 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილის საკითხს.

ავსტრალიის 200 წლისთავთან დაკავშირებით სიდნეის განზრახული აქვს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა, ხოლო ალჟირმა სურვილი გამოთქვა, გახდეს პირველი აფრიკული ქალაქი, სადაც ჩატარდება ოლიმპიადა. ვარაუდობენ, რომ განაცხადები შეიძლება წარმოადგინონ ლონდონმა, ბრიუსელმა და თეირანმა. (საკდესი).

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის ტექნიკური მონაცემები.

„ფახთაქორი“ — „ტორპედო“ 1:1. ანგარიში გახსნა ჩურკინმა (16 წთ). შემდეგ ტორპედოელმა ვასილიევმა გაქვითა იგი (52).

დუბლიორები — 4:1.

„სპარტაკი“ — „ზენიტი“ 1:1. სტუმართა თავდამსხმელმა რასპუტინმა (15 წთ) გაიტანა გოლი, რასაც პავლენკომ (55) გოლით უპასუხა. გაფრთხილებულია ლენინგრადელი იგნატოვიჩი.

დუბლიორები — 5:1.

„არარატი“ — ცსკა 3:0. ბურთები გაიტანეს ანდრეასიანმა (3 წთ. 11-მეტრიანი დარტყმით), ოჰანესიანმა (50) და საქიანმა (52).

დუბლიორები — 1:1.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ 1:0. ერთადერთი ბურთი გაიტანა დინამოელმა მაქსიმენკოვმა (48 წთ.).

## ფეხბურთი

დუბლიორები — 0:0.

„ნეფთჩი“ — „ლოკომოტივი“ 2:0. ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს ბანიშევსკიმ (55 წთ.) და სმოლნიკოვმა (56).

დუბლიორები — 3:1.

„ქაირათი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1. ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნა ოდესელმა დოროშენკომ. შესვენების შემდეგ ლეკსინმა საპასუხო გოლი გაიტანა (85 წთ.).

დუბლიორები — 2:0.

„ზარია“ — „შახტიორი“ 2:2. ჯერ სტუმრებმა სტარუხინმა (34 წთ.) და რეზნიკმა (64) დააწინაურეს თავისი გუნდი, ხოლო შემდეგ ივანოვმა (75) და კუზნეცოვმა (77) გაქვითეს ანგარიში.

დუბლიორები — 0:2.

კიევისა და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩში (0:2) ორი ბურთი გაიტანეს კოპალეიშვილმა და მინაშვილმა.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

#### სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „ცსკა“ | | 19 | 10 | 8 | 1 | 29—14 | 28 |
| „დინამო“ | თბ. | 19 | 12 | 3 | 4 | 25—8 | 27 |
| „ნეფთჩი“ | | 19 | 10 | 6 | 3 | 26—20 | 26 |
| „არარატი“ | | 19 | 7 | 9 | 3 | 28—16 | 23 |
| „დინამო“ | კ. | 19 | 9 | 4 | 6 | 24—21 | 22 |
| „დინამო“ | მ. | 18 | 8 | 6 | 4 | 23—13 | 22 |
| „შახტიორი“ | | 18 | 8 | 4 | 6 | 22—16 | 20 |
| „ჩერნომორ.“ | | 19 | 8 | 4 | 7 | 18—22 | 20 |
| „სპარტაკი“ | | 19 | 7 | 5 | 7 | 24—17 | 19 |
| „ფახთაქორი“ | | 19 | 6 | 6 | 7 | 21—22 | 18 |
| „ტორპედო“ | | 19 | 6 | 3 | 10 | 27—24 | 15 |
| „ლოკომოტ.“ | | 19 | 5 | 5 | 9 | 18—30 | 15 |
| „ქაირათი“ | | 19 | 4 | 6 | 9 | 17—23 | 14 |
| „ზარია“ | | 18 | 3 | 5 | 10 | 17—38 | 11 |
| „ზენიტი“ | | 18 | 3 | 5 | 10 | 13—32 | 11 |
| „დნეპრი“ | | 19 | 0 | 9 | 10 | 12—26 | 9 |

## პირველი ლიგა

ქუთაისის ტორპედოელებმა ზაპოროჟიეში წააგეს ადგილობრივ „მეტალურგთან“ — 0:2. გოლები გაიტანეს პეტროვმა (8 წთ.) და ხოდუსმა (64).

„მეტალურგი“: სემიკოპენკო, ბონდარენკო, დაშკევიჩი, სლოვაკი, იშჩენკო, ხოდუსი, ანოშინი (ბარკოვი), შანგინი, გორბიკი, ტიმოშენკო, პეტროვი.

„ტორპედო“: მჭედლიძე, ფოფხაძე, სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე (ა. კვერნაძე), ქვირია (ფარულავა), ფესტვენიძე, ებანოიძე, სვანაძე (ძებისაშვილი).

მსაჯი ნ. ივსიანიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორთა შემადგენლობის მატჩი დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით — 4:1.

## „ვარსკვლავები“ გაქირავებით

**ცნობილმა** შვედმა ფეხბურთელმა თომას შიობერგმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე, კვლავ მოაწერა ხელი პროფესიულ კონტრაქტს. ამჯერად საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან. მანამდე „მალმეს“ და შვეციის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი თამაშობდა დასავლეთგერმანულ კლუბ „ბორუსიაში“ (დორტმუნდი).

როგორც სტოკჰოლმის გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი“ წერს, შიობერგის კონტრაქტი ძალაში შევა ამა წლის 15 აგვისტოდან და გაგრძელდება 1979 წლის 1 მაისამდე.

კონტრაქტის ასეთი მოკლე ვადა იმით აიხსნება, რომ „მალმეს“ ხელმძღვანელობამ სასტიკი წინააღმდეგობა გამოუცხადა ორწლიან კონტრაქტებს.

წლევანდელ სეზონში შვეციის ჩემპიონატში თავის ბოლო მატჩს შიობერგი 13 აგვისტოს ითამაშებს, მაგრამ „გამოჩნდება ხოლმე“ ნაკრების შემადგენლობაში. შვეციის საფეხბურთო კავშირის წესდებაში წერია, რომ უცხოეთში წასული მოთამაშე ვალდებულია ნაკრებშიც ითამაშოს.

ცნობილია, რომ საუდის არაბეთის კლუბ „ალ-ხილიალში“ ითამაშებს ბრაზილიელი რიველინო, ხოლო სხვა გუნდებში — ტუნისის ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებმაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში კარგად ისპარეზეს. (სავდესი).

# უნიკალური კოლექცია

**ამერიკელმა** დანტისტმა უოლტერ ჰ. ჯეკობსმა შექმნა კრივის სპეციალისტთა და მოყვარულთათვის მეტად ორიგინალური, უნიკალური კოლექცია. მან გააკეთა ცნობილ მოკრივეთა მუშტების თიხის ყალიბები და შემდეგ ბრინჯაოში ჩამოასხა. ჯეკობსმა თვალსაჩინო და ხელშესახები გახადა მოკრივეთა ერთადერთი საბრძოლო იარაღი — მუშტი, რომელიც ბრძოლის დროს მაყურებელთაგან დაფარულია ხელთათმანით. თქმა არ უნდა, რომ ეს ქანდაკებები ნაცად თვალს, კრივში ჩახედულობას, თავისებურ „წაკითხვას“ საჭიროებს. კოლექციამ მიიზიდა კრივის დიდძალი ჭეშმარიტი მოყვარული. ჯეკობსმა დაწერა აგრეთვე წერილი, სადაც იგი მოგვითხრობს კოლექციის წარმოშობის ისტორიას და იძლევა მუშტების ფრიად საინტერესო დახასიათებებს. გთავაზობთ მის სტატიას „ბრინჯაოში ამეტყველებული სახელოვანთა მუშტები“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „რინგი“.

ე. გიორგაძე.

### კრივის მოყვარულთა კუთხე

**კრივი** სპორტის ძველთაძველი სახეობაა. იგი გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და ძველი რომის იმპერიაში. შემონახულია იულიუს კეისარის მეფობის დროინდელ მოკრივეთა ქანდაკებები. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული კი, კრივის ისტორიისათვის ცნობილია ყველა ასე თუ ისე გამოჩენილი მოკრივე. დარჩენილია რინგზე მათი ბრძოლების აღწერილობანი, პირადი ცხოვრების ამბები, ნახატები, ფოტოსურათები.

ინახებოდა, აგრეთვე, რელიქვიებიც. დიდ მოკრივეთა ხელთათმანები, სავარჯიშო ტომრები, ჩემპიონთა სარტყლები.

ოღონდ ეს იყო, რატომღაც ყველას გამორჩა, მოკრივეთა თავდაცვის და თავდასხმის ერთადერთი იარაღი — მუშტი. გაოცებას ვიყავ, რომ არავის მოუვიდა აზრად მუშტების ყალიბების ჩამოსხმა. მე კბილების ყალიბების გაკეთებაში დახელოვნებული დანტისტი გახლავართ და უნდა მოგახსენოთ, რომ პროფესიამაც ხელი შემიწყო ამ საქმის წამოწყებაში. დავამზადე ცნობილ მოკრივეთა მუშტების ყალიბები, შემდეგ ისინი ბრინჯაოში ჩამოვასხი და წარწერებითურთ დავამწკრივე კედელზე, ასე შედგა ჩემი კოლექცია, რომელიც ერთგვარ მუზეუმად იქცა. ეს კოლექცია მე დიდად საჭიროდ მიმაჩნია. ბევრი რამ არის აქ ყურადსაღები.

ავიღოთ, მაგალითად, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ჯეკ დემპსის მუშტი. იგი მკვიდრია, თითქოსდა რკინისგან ჩამოსხმული. თითები გრძელი აქვს და კარგად განვითარებული, მაჯა მტკიცედ ნადუღაბები. ნები შესიებულია, სახსრები ოდნავ მოსწორებული, ფულტონის, უილარდის, კარპანტიეს, ტუნეის და კრივის სხვა ტიტანთა სხეულებზე ჯახისაგან. ხატოვნად ვიტყვი, ამ მართლაც მუშტივით შეკრულ მუშტში დიდი შემტევი ძალაა დატეული.

დემპსის ბუნებრივი საბრძოლო იარაღისაგან სრულიად განსხვავებულია პირველი ზანგი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის, ჯეკ ჯონსონის მუშტი, იგი უფრო მომცროა. თითები დემპსის მუშტთან შედარებით თხელია და ნაკლები ძალისაც ჩანს, ოღონდაც იგრძნობა, რომ ამ მუშტს ძალუძს ელვის უსწრაფესად გაისრიალოს მეტოქისაკენ და თანაც სრულიად მოულოდნელად.

ყველაზე ზორბა მუშტი, როგორც ხედავთ, აქვს მძიმე წონის მოკრივეს, დინოზავრად წოდებულ პრიმო კარნერას. ოღონდ ნურავის ეგონება თითქოსდა მუშტის სიდიდე დარტყმის ძალის თანაზომადი იყოს. კარნერას მართალია რამდენიმე ბრძოლა ნოკაუტებით აქვს მოგებული, მაგრამ იგი ვერა და ვერ ჩაითვლება დამანგრეველი ძალის მქონე მოკრივედ.

აქვეა ჩემი კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე პატარა მუშტი, ვიწრომაჯიანი, კოტიტა თითებიანი, ფუნჩულა, ლამის ქალის მტევანის მსგავსი. იგი ეკუთვნის უძლიერესი დარტყმის მქონე მოკრივეს, მსოფლიო ჩემპიონს მსუბუქ წონაში, ტონი კანცონერის. ამ მუშტში იფარვოდა დინამიტისებრ ფეთქებადი ძალა და საოცარი სისწრაფის უნარი. კანცონერიმ რინგზე დიდი სიმწარე აწვნია ისეთ ცნობილ მებრძოლთ, როგორებიც იყვნენ: ბენი ბასი, კიდ ჩოკოლეიტი, ჯეკ კიდ ბერგი და ჯიმ მაკ ლარნინი.

ასეთივე მუშტი აქვს ბარნი როსსაც. კრივის ისტორიამ კი იცის თუ როგორ უზნევდა თავგზას მის მეტოქეებს ეს მომცრო, მაგრამ მრისხანე იარაღი.

ჩემს კოლექციაში მრავალი ასეთი მუშტი ინახება, მაგალითად მარცხენა ჰუკის უბადლო ოსტატის ჩარლი უაიტის მუშტი სკოლის მასწავლებლისა ან ექიმის კუთვნილი გეგონებათ. ეს მსწრაფლი და ღონიერი მუშტი ბობ გოლშტაინის, ალ სინჯერის და ლეონ ამბერის მჯიღებთან შედარებით ძალზე ფსუსური და მჟიფე მოგეჩვენებათ.

ჩემი ფიქრით ამ კოლექციას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ეს ქანდაკებები საშუალებას მისცემს კრივის იმ მოყვარულებს, რომელთაც წილად არ ხვდათ ბედნიერება მოსწრებოდნენ „უკვდავთა“ მატჩებს, საკუთარი თვალით იხილონ და ხელითაც კი შეეხონ დიდ მოკრივეთა ერთადერთ და მრავლისმეტყველ საბრძოლო იარაღს.

თვითონ კი, არა და არ მბეზრდება ჩემი მუზეუმის თვალიერება და ისე გავიწაფე, რომ ჩემთვის უცნობი მოკრივის მუშტის ქანდაკებიდანაც იოლად და ზუსტად ამოვიკითხავ ხოლმე მისი მფლობელის საბრძოლო თვისებებს, ასე გასინჯეთ, ვცნობ მისი ბრძოლის მანერასაც.

* * *

**სურათებზე:** (მარცხნიდან) — **ტონი კანცონერის, ბარნი როსის, ჯეკ დემპსის და ჯეკ ჯონსონის მუშტების ყალიბები. მათ შორის სიდიდით გამოირჩევა პრიმო კარნერას მუშტი (მარცხენა ფოტოზე, შუაში, მარჯვენაზე — პირველი).**



## მოულოდნელობა რინგზე

**ალჟირი.** III აფრიკულ თამაშებში მოკრივეთა ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონის, ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ აღიარებული 22 წლის კენიელი სტივენ მუჩოკის დამარცხება იყო. ფინალში მან ქულებით წააგო ზამბიელ ფ. მუსანკაბალთან.

ზამბიელი მოკრივე აშკარად უძლიერესი გამოდგა. მას მეტი შეუპოვრობა რომ გამოეჩინა, ნოკაუტითაც შეეძლო გამარჯვება. მსოფლიო ჩემპიონი რინგზე ბევრად უფრო ნელა ირჯებოდა და ისე არ აქტიურობდა, როგორც მისი მეტოქე.

კენიელი მოკრივეები პირველები იყვნენ გუნდურ ჩათვლაში. მათ 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. II ადგილზე განის სპორტსმენები გავიდნენ. (საკდესი).

# დამთავრდა ახალგაზრდობის დიდი ფორუმი



გუშინ ჰავანაში დამთავრდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი, პლანეტის სიჭაბუკის ეს უდიდესი ფორუმი, რომელიც ლოზუნგით — „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის" — მიმდინარეობდა. კუბის განმავლობაში თავისუფლების კუნძულის დედაქალაქი გულლიად მასპინძლობდა მსოფლიოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მისწრაფება ყველაფერი იღონონ კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

XI ფესტივალის დედაქალაქი ჰავანა ამ დღეებში მომსწრე გახდა დაუვიწყარი შეხვედრებისა. ასეთი შეხვედრები კი უამრავი გაიმართა — ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, საკონცერტო დარბაზებსა თუ სპორტულ არენებზე.

ფესტივალმა თავისი წვლილი შეიტანა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის მასპინძელი ჰავანა.

## საბჭოთა ოლიმპიელების მაგალითზე

**დელი.** „ბედნიერი ვართ, რომ მონაწილეობას მივიღებთ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში. არა მარტო იმიტომ, რომ ის იქნება ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი და ამაღელვებელი სპორტული მოვლენა. მოსკოვი ჩვენთვის იმ ქვეყნის სიმბოლოა, რომელთანაც ინდოეთს აკავშირებს მტკიცე ტრადიციული მეგობრობა", — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა ინდოეთის ოლიმპიური ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ს. მეტხამ.

— თავიანთი მიღწევებით, — თქვა მან, — ინდოეთის სპორტსმენები ჯერჯერობით ვერ გაუტოლდებიან უძლიერესებს, მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ისინი მოსკოვიდან რამდენიმე მედალს წამოიღებენ. წარმატებით უნდა იასპარეზონ ბალახის ჰოკეისტებმა. საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსები აქვთ ინდოეთის ოლიმპიელებს ჭიდაობის ზოგიერთ სახეობაში, 400 და 800 მეტრზე რბენაში. ამას გარდა, გვყავს ორი კარგი ძალოსანი მსუბუქ წონაში.

— ოღონდაც საქმე მედლებში არ არის. ოლიმპიადაში მონაწილეობა ხელს შეგვიწყობს ყველა ქვეყნის და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის სპორტსმენებთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში, — თქვა მეტხამ. — ინდოეთში დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა სპორტისადმი. აი, რატომაა, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში, რომელიც 8 აგვისტოს დაიწყება, ჩვენს ქვეყანაში ყველაფერს ვიღონებთ, რათა რაც შეიძლება ბევრ სპორტის მოყვარულს გავაცნოთ საბჭოთა ოლიმპიელების მიღწევები.

●

## მოწყობილობა ბუდაპეშტიდან...

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის ელექტროაკუსტიკური აპარატურის ქარხანა „ბეაგი" 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის დადგამს მოწყობილობას ტელე- და რადიოსტუდიისთვის, აგრეთვე საკომენტატორო სისტემებს შეჯიბრების ადგილებიდან რეპორტაჟებისთვის.

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტმა უნგრეთის საწარმოს მიანიჭა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური მიმწოდებლის წოდება. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა უნგრეთის დედაქალაქში საზეიმოდ გადასცეს დიპლომი ბუდაპეშტის ქარხანას ზემოხსენებული წოდების მინიჭების გამო.

(საკდესი).

**ბაგიო.** ფილიპინების ამ საკურორტო ქალაქის 85 ათას მცხოვრებსა და მრავალრიცხოვან ტურისტს ორი სიტყვა — „ჭადრაკი" და „წვიმა" აკერია პირზე.

ბაგიოში გადაუღებლად წვიმს. შეიძლება კლიმატი აქ ასეთია „მუდმივად", მაგრამ საჭადრაკო მატჩი მსოფლიო პირველობაზე პირველად ტარდება და, რა თქმა უნდა, მთელი ყურადღება მისკენაა მიმართული.

აგვისტოს მესამე დღეს ინტერესი მატჩისადმი უფრო გაძლიერდა: ანგარიში გაიხსნა. საბჭოთა მოჭადრაკემ, მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო მერვე პარტია.

ა. კარპოვს ბრწყინვალე გამარჯვება პირველებმა მისმა სეკუნდანტებმა, საერთაშორისო დიდოსტატებმა ი. ბალაშოვმა და ი. ზაიცევმა მიულოცეს. კარპოვმა თქვა, რომ იგი კმაყოფილია თავისი თამაშით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჭადრაკის მილიონობით თაყვანისმცემელმა ღირსეულად შეაფასა საბჭოთა დიდოსტატის დამაჯერებელი თამაში ამ პარტიაში, რომელშიც მან 28-ე სვლაზე პირდაპირ გაანადგურა მეტოქე. ამას აღნიშნავენ უცხოელი მიმომხილველები, ამაზე წერენ ფილიპინური გაზეთები.

მსოფლიო ჩემპიონს პრეტენდენტთან ბრძოლა უხდება არა მარტო ჭადრაკის დაფასთან, არამედ მას უაზრო გამოხდომებით არ ასვენებენ „კორჩნოის ნაკრები გუნდის" წევრები, რომლებიც ცდილობენ უფრო გაამწვავონ ისედაც დაძაბული შეჯიბრების ატმოსფერო. როგორც ცნობილია, პრეტენდენტმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ კარპოვს ჭიქა მაწონი შეუტანეს. არაერთხელ მოითხოვა მაყურებელთა დარბაზში საბჭოთა დელეგაციის ადგილების გადანაცვლება. ჯიუტად მოითხოვდა შვეიცარიის სახელით გამოსვლას, ერთი სიტყვით, პრეტენდენტმა ბევრი „მოასწრო".

მსოფლიო ჩემპიონსა და საბჭოთა დელეგაციის წევრებზე კორჩნოის მუდმივი, უსაფუძვლო თავდასხმების გამო კარპოვი იძულებული გახდა მერვე პარტიის დაწყებისას უარი ეთქვა ხელის ჩამორთმევაზე. საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მეტოქე, მატჩის შეთანხმების საწინააღმდეგოდ, იქცევა არაკორექტულად, ამიტომ ბუნებრივია ა. კარპოვის პასუხი: არ შეასრულოს პირველდაწყებითი მოლაპარაკება ხელის ჩამორთმევის შესახებ.

და აი, პრეტენდენტის ბოლო „სვლა" მერვე პარტიაში: სვლების ჩანაწერებიან თავის ბლანკზე ხელის მოწერის შემდეგ, მან უარი თქვა კარპოვის ბლანკზე ხელის მოწერაზე, რითაც დაარღვია საჭადრაკო შეჯიბრებათა ტრადიცია.

გუშინ გათამაშდა IX პარტია, რომელიც 41-ე სვლაზე გადაიდო.

## გამარჯვების ძნელი გზა

## ჭადრაკი

## „თეთრი მხედარი" დუშეთში

**დუშეთში** ჭადრაკის შორეულ წარსულზე არაფერი გვსმენია, თუმცა ბრძნული თამაშის მოყვარულები ალბათ იქაც იქნებოდნენ. დღეს დუშეთში ჭადრაკს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, შეჯიბრებებიც გახშირდა. რაიონის მკვიდრმა ციური კობაიძემ ორგზის მოიპოვა ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონის და ერთხელ გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. ნიჭიერმა გოგონამ სპორტის ოსტატის წოდებაც მიიღო.

1968 წლის აგვისტოში დუშეთმა უმასპინძლა საქართველოს ქალთა ჩემპიონატს. სწორედ ამ დროს აქ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ფიდე-ს პრეზიდენტმა, დიდოსტატმა მ. ეივემ (ჰოლანდია), რომელიც სტუმრად იყო საქართველოში.

ყველაფერი ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ სტუმარ-მასპინძლობამ გააღრმავა დუშელების სიყვარული ჭადრაკისადმი. ამ თამაშს ბევრი ყმაწვილი და გოგონა დაეწაფა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რაიონში მოჭადრაკეთა შეჯიბრება ჩვეულ მოვლენად იქცა. გამოჩნდა დუშელი საჭადრაკო კომპოზიტორიც — რ. მარცვალაშვილი (სოფ. ჩარგალი).

— ფასანაურელებს კარგი მოჭადრაკეები ჰყოლიათ, გამიჭირდა მათი ძლევა, — თქვა საერთაშორისო ოსტატმა ქ. კაიშაურმა (...ცია) ფასანაურის საშუალო სკოლაში შარშან გამართული ერთდროული თამაშის სეანსის შემდეგ.

და აი, 1977 წლიდან დუშეთის რაიონულმა გაზეთმა — „კომუნიზმის გზამ" (რედაქტორი უ. ბ...შვილი) თავის ფურცლებზე გახსნა საჭადრაკო კლუბი — „თეთრი მხედარი" (ხელმძღვანელი რ. მარცვალაშვილი). კლუბმა მიზნად დაისახა რაიონის მშრომელებს გააცნოს ჭადრაკის მდიდარი წარსული და აწმყო, ხელი შეუწყოს მთასა და ბარში თამაშის გავრცელებას. ...ვე დაიბეჭდა წერილები ჭადრაკის ისტორიიდან და ბევრი სხვა.

დუშელების დიდი ინტერესი მოიწვია ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის კონკურსმა. გაზეთი სისტემატურად აუწყებს მკითხველებს კონკურსის მსვლელობას. უკვე ცნობილია ლიდერები, ...უინვალჰესის მშენებელი ინჟინერი ვ. იმნაძე და დუშელი მოსწავლე ლ. უნდილაშვილი. კონკურსი ...ლაც გრძელდება.

ვფიქრობთ, კლუბი იმსახურებს მხარდაჭერას. საჭიროა გაიზარდოს მისი პერიოდულობა (თვეში ...თხელ მაინც გამოდიოდეს). ზოგ... მასალის მრავალფეროვნებას, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რაიონის მოჭადრაკეთა ცხოვრების ასახვას, მათი პარტიებისა თუ კომბინაციების ბეჭდვას და სხვ.

აქტივის ხელშეწყობით „თეთრ მხედარს" ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია.

**თ. ბიორბა...**

## მძლეოსნობა

**ლენინგრადელ** ქალიშვილე მძლეოსანთა საქალაქო შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ნ. გორბაჩოვა, რომელმაც ბადრო 66 მეტრსა და 24 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა მიმდინარე სეზონში საბჭოთა კავშირში.

**ნორვეგიის** დედაქალაქ ოსლოში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე გფრ-ის სპორტსმენის მ. ვესინგის მიერ ნატყორცნი შუბი 94,22 მეტრზე „გაფრინდა". 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე უნგრელ მ. ნემეტის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი მხოლოდ 36 სანტიმეტრით სჭარბობს ამ შედეგს.

## „სპორტლოტო"

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" 6 — 49-დან მორიგი 31-ე ტირაჟი.

**პირველი:** 15, 28, 31, 40, 42, ...

შეღავათიანი ბურთულა — 13.

**მეორე:** 2, 17, 24, 29, 38, ...

შეღავათიანი ბურთულა — 13.

„სპორტლოტოს" 5 — 36-დან მორიგი, 31-ე ტირაჟი.

**პირველი:** 12, 17, 18, 22, 34.

**მეორე:** 8, 15, 26, 27, 29.

**კანბერა.** ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ერთ-ერთ პატარა ქალაქში სპორტის საქმოსნების მიერ მოწყობილი სარბიელი გლადიატორთა ბრძოლას ჰგავდა. რინგზე ადგილობრივი მკვიდრი 8-11 წლის თვალებახვეული 18 ბიჭუნა გამოიყვანეს. ზოგიერთებს ხელთათმანები მისცეს. მაყურებელთა წასისინებით ბავშვებმა ბრმად დაუწყეს ერთმანეთს დარტყმა. ისინი ვერ ხედავდნენ ვერც სისხლიან ლაქებს, ვერც ჩატეხილ კბილებს, ვერც ძირს დაცემულ მეტოქეებს. საშინელი სპექტაკლი შეწყვიტეს მაშინ, როცა ფეხზე მხოლოდ ერთადერთი „გამარჯვებული" დარჩა.

## ეს არ უნდა ხდებოდეს

ინციდენტის გამოძიების თაობაზე საზოგადოებრიობის მოწოდების პასუხად შტატის ბავშვთა საქმის მინისტრმა მოიმიზეზა პოლიციის ოფიციალური შეტყობინების უქონლობა. ეინ, თუ არა მან, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოდიოდა რინგზე მძიმე წონით კატეგორიაში, იცის რომ „ხალხის გასართობად" შტატში, სადაც გამეფებულია რასიზმი, დიდი ხანია იმართება წარმოდგენები ადგილობრივი ღარიბი ოჯახის ბავშვთა მონაწილეობით, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ, რათა ცოტაოდენი საარსებო წყარო იშოვონ.

მოკრივეთა მწვრთნელმა ბრისბენელმა გორდონ მორისმა, რომელიც ამ სანახაობას დაესწრო, თქვა „ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება, რაც ოდესმე მინახავს რინგზე". (საკდესი).

## შვეიცარიის კლუბი აფრთხილებს

**ნიუ იორკი.** ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბერნიდან იუწყება:

შვეიცარიის ალპინისტთა კლუბი მთამსვლელებს აფრთხილებს, წლევანდელი ზაფხულის ამინდის კაპრიზები კვლავ შეიძლება გახდეს ადამიანთა დაღუპვის მიზეზი. ...რშან ალპებში (ცენტრალური ევროპა) დაიღუპა 400-მდე ალპინისტი, მათ შორის — 170 შვეიცარიაში.

კლუბის განცხადებაში ნათქვამია, რომ ტრაგიკული შემთხვევები ძირითადად მთამსვლელთა არასათანადო ვარჯიშის, უსაფრთხოების ... ცვის ცუდი ტექნიკისა და ალპინისტთა უხარისხო აღჭურვილობის შედეგია. (საკდესი).

**მხიარული ფანქრით**

◆

უსიტყვოდ.



ჟურნალ „ტურისტიდან".

**რედაქტორი ა. ბასილა...**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-...; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-66; სპორტის პროპაგანდის — 93-97-67; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-62; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07...